<u>ხელშეკრულება</u> N2022/068
„სასტუმრო მომსახურება" (CPV კოდი: 55100000)
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 11 მაისი 2022 წელი

შემსყიდველი: სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, (შემდგომში „შემსყიდველი") მისი დირექტორის ზაალ აბაშიძის სახით
მისამართი: ქ. თბილისი, ალექსიძის 1/3;
საიდენტიფიკაციო ნომერი: 211368474
ტელეფონი: 247-42-42
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22

მიმწოდებელი: შპს „კალასი" (შემდგომში „მიმწოდებელი") **მისი გენერალური დირექტორის ლიანა შონიას სახით**
მის: ქ. თბილისი, კ.აფხაზის ქ. N 21
საიდენტიფიკაციო ნომერი: (ს/ნ 204391005)
ტელეფონი: 2 43 96 00
საბანკო რეკვიზიტები: სს "თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ნ GE93TB 7882 1360 8010 0002

ერთი მხრივ, შემსყიდველი და მეორე მხრივ მიმწოდებელი, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული "გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგ თანხაზე:

7420,00(შვიდი ათას ოთხას ოცი ლარი და 00 თეთრი) ლარი
(ხელშეკრულების თანხა ციფრებით, სიტყვიერად და ვალუტის ჩვენებით)
(შემდგომში "ხელშეკრულების ღირებულება")

მხარეები ვთანხმდებით და ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგი პირობებით:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი"- ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის **საგრანტო პროექტის - VI საერთაშორისო საზაფხულო სკოლა „ქართული ხელნაწერი" (N MG-ISE-19-203) (შეთანხმება №MG-ISE-19-203-412)** ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებაზე მოწვეული სტუმრებისათვის სასტუმრო მომსახურების გაწევა 6 სტუმარი - 2021 წლის 14 ივლისის 14:00 საათიდან - 24 ივლისის 12:00 საათამდე - (CPV კოდი: 551000000) - სასტუმრო „კალასში".

CPV	მომსახურება	რაოდენობა		ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
		ნომრები	დღეები		
CPV 55100000	ერთადგილიანი ნომერი	3	7	212	4452
	ორადგილიანი ნომერი	2	7	212	2968
	ჯამი				**7420**

სტუმრების სია:

განთავსება:

1) Miloš Petrović;
2) Katharine Khamhaengwong;
3) Gül Mükerrem ÖZTÜRK;
4) Alena Mikulášová;
5) Zübeyir Uzun;
6) თამთა სოსელია, დედიკა კაჭარავა.

3.ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **7420,00 (შვიდი ათას ოთხას ოცი ლარი და 00 თეთრი) ლარს**

4.ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. ანგარიშსწორება იწარმოებს ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესახებ წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე **10 სამუშაო დღის ვადაში.**

4.3. წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

4.4. დაფინანსების წყარო: **საგრანტო პროექტი - მე-2 საერთაშორისო საგაზაფხულო სკოლა „აფხაზეთი: შუა საუკუნეებიდან დღემდე (ისტორიულ-კულტუროლოგიური ასპექტები)" (№OTG_II-21_080).**

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 გაწეული მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

5.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია წინამდებარე ხელშეკრულების მე-9 პუნქტის 9.2 ქვეპუნქტით განსაზღვრული კონტროლის განმახორციელებელი პირების დასკვნა.

5.3 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სასწავლო და საკვალიფიკაციო პროექტების სამსახურის უფროსი; საგრანტო პროექტის №OTG_II-21_080 კოორდინატორი ირინა გოგონაია.

6. მომსახურების გაწევის წესი, ადგილი და ვადა

6.1მომსახურების გაწევა ხდება **სასტუმრო „კალასში" 2022 წლის 24 მაისის 14:00 საათიდან - 31 მაისის 12:00 საათამდე.**

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1.წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ელექტრონულად დამოწმების/დადასტურების დღიდან და მოქმედებს **2022 წლის 29 ივლისის ჩათვლით.**

8. მხარეთა უფლება – მოვალეობები

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;
- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე;
- მოსთხოვოს მიმწოდებელს დეტალური ინფორმაცია გასაწევი მომსახურების შესახებ.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- გადაიხადოს მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და ოდენობით;
- ვალდებულია ზუსტად გადასცეს დეტალური ინფორმაცია შემსრულებელს სასტუმროში შემომსვლელი პერსონების რაოდენობაზე, სადილის დაწყების და დასრულების დროზე.
- დაიცვას ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობები.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
- მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება;
- გაწეული მომსახურების ნაკლოვანების შემთხვევაში თავისი ხარჯით უზრუნველყოს აღნიშნული ნაკლის გამოსწორება;
- გაუწიოს მომსახურება საკუთარი ძალებითა და ტექნიკური საშუალებებით;
- წინასწარ აცნობოს შემსყიდველს მოსალოდნელი შეფერხების შესახებ;
- უზრუნველყოს სტუმრების განთავსება წინასწარ შეთანხმებული პირობების გათვალისწინებით.
- ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1 გაწეული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ შემდეგი პირობებით:

9.1.1. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის გაწეული მომსახურების შესაბამისობას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან ამოწმებს და ადასტურებს შესაბამისი დასკვნით კონტროლის განმახორციელებელი პირი, ხოლო ამის შემდეგ მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

9.2. ხელშეკრულების 5.2 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს განახორციელებს სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საფინანსო-ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი ლაშა კალაძე და სასწავლო და საკვალიფიკაციო პროექტების სამსახურის უფროსი; საგრანტო პროექტის №OTG_II-21_080 კოორდინატორი ირინა გოგონაია.

9.3. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისგან.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, ან სისტემატიურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი წერილობით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

10.2. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, დაეკისროთ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

10.3. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების ან/და შეუსრულებლობის შემთხვევაში მას დაეკისრება ჯარიმის გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

10.4. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი მომსახურების დაწყებამდე 7 კალენდარული დღით ადრე, არ აცნობებს მიმწოდებელს გადაწყვეტილებას ერთადგილიანი და ორადგილიანი ნომრით მომსახურების გაუქმების შესახებ, მაშინ შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს გაუქმებული ნომრის(ების), ხელშეკრულების 3.1 და 6.1 პუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების 100% -ი.

10.5. დაკისრებული პირგასამტეხლო/ჯარიმა გადახდილ უნდა იქნას მხარისათვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი პირგასამტეხლოს/ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადისა.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

11.4 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებლი მიზეზების გამო წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.5 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. ფორს-მაჟორი

12.1. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

12.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომელისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობით შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ინტერესთა კონფლიქტი

14.1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

15.ზოგადი დებულებები

15.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

15.2 მხარეები თანმხდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომლებიც არ იქნება დარეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15.3 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.

15.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, რომლის ყოველი ელექტრონული ეგზემპლარი ორიგინალია (დამოწმებული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.)

16.მხარეთა ხელმოწერები

„შემსყიდველი"

სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

დირექტორი

/ზაალ აბაშიძე/

„მიმწოდებელი"

შპს „კალასი"

გენერალური დირექტორი

/ლიანა შონია/

Paata Gabunia

Digitally signed by Paata Gabunia
Date: 2022.05.13